

მამუკა კუპრაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი

საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი მეთოდები

Abstract

The financial condition of enterprises is characterized by rather high risk and variability in present day turbulent economic environment, which in many cases endangers it and leads to the bankruptcy of the enterprise. Operation and financial success of a company greatly depend on its financial condition. That is why important attention is paid to financial analysis of the company.

Key words: *Financial condition, analysis, financial indicators.*

აბსტრაქტი

საწარმოთა ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება მაღალი რისკით და ცვალებადობით დღევანდელ ტურბულენტურ გარემოში, რაც ხშირ შემთხვევაში საფრთხეს უქმნის და მიჰყავს კომპანია ბანკროტამდე. კომპანიის ფინანსური წარმატება დიდწილად დამოკიდებულია მის ფინანსურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება მიექცეს კომპანიის ფინანსურ ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური მდგომარეობა, ანალიზი, ფინანსური მაჩვენებლები.*

შესავალი

კომპანიების ფინანსურ წარმატებას მათივე ფინანსური მდგომარეობა განაპირობებს. კომპანიის მმართველებისთვის, ინვესტორებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ფორმა იყოს გადახდისუნარიანი, სტაბილური, აქტიური და მომგებიანი. ამის მისაღწევად, მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გამოკვლევა და ამ გამოკვლევების საფუძველზე, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების დასახვა. ამდენად, კომპანიების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, მათი ეკონომიკური ფუნქციონირების ყველა ეტაპზე, მუდამ აქტუალურია.

კვლევის მიზანია ფინანსური მდგომარეობის ანალიზის გარკვეული მეთოდების წარმოდგენა, რომლებიც საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის ეფექტურად გამოიყენება. ამისთვის დასმულია შემდეგი სახის ამოცანები:

- მოძიებული იქნეს, კონკრეტული ლიტერატურული წყაროები;
- შერჩეულ იქნეს კვლევის ობიექტები;

- განიმარტოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის არსი;
- მიმოხილული იქნეს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის კონკრეტული მეთოდები საკვლევ ობიექტებზე დაყრდნობით;
- საკვლევ ობიექტების მაჩვენებლები შეუდარდეს ერთმანეთს შედეგების უკეთ გასაცნობად.
- და სხვა.

კვლევის მეთოდოლოგია და ობიექტები

კვლევა ეყრდნობა ანალიზურ, სინთეზურ, სტრუქტურულ, ტრენდულ, დაჯგუფებისა და შედარების მეთოდებს. კვლევის ობიექტებია შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოები: „ენგურჰესი“ და „გარდაბნის თბოსადგური.“ კომპანიები მოღვაწეობენ ენერგეტიკის დარგში. კვლევა ჩატარებულია 2017-2019 წლებში მათ ფინანსურ ანგარიშგებებზე დაყრდნობით.

ფინანსური მდგომარეობის რაობა

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, ფართო გაგებით, გულისხმობს მის უნარს, დააფინანსოს საკუთარი საქმიანობა. ვიწრო გაგებით კი, აჩვენებს თუ როგორ არის საწარმო უზრუნველყოფილი საკუთარი ფინანსური სახსრებითა და აფასებს საწარმოს წარსულსა და ამჟამინდელ მდგომარეობასა და იძლევა რეკომენდაციებს მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით. „ფინანსური მდგომარეობა საწარმოს ფინანსური, მიმდინარე საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობის მაჩვენებელთა ერთობლიობაა, რომელიც ასახავს საწარმოს რესურსების ფაქტიურ რაოდენობას, მათ განთავსებასა და გამოყენებას.“ (ჩეჩელაშვილი, 2013:13)

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ეფექტიანობა განისაზღვრება კომპანიის წარმოების ეკონომიკური შედეგიანობით, კომერციული და ფინანსური მოღვაწეობითა და სხვა. სხვაგვარად, საწარმოს ფინანსური გეგმების წარმატებით განხორციელება, მის ფინანსურ მდგომარეობაზე დადებითად აისახება. საპირისპირო შემთხვევაში, იზრდება პროდუქციის თვითღირებულება, მცირდება რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, მოგება და ფირმის ფინანსურ მდგომარეობასა და გადახდისუნარიანობას საფრთხე ემუქრება.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდები

ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის საჭიროა გარკვეული მეთოდების გამოყენება: ანალიზის, სინთეზის, დინამიკის, სტრუქტურის, შედარებისა და სხვა. აქვე აღსანიშნავია, რომ ანალიზი და სინთეზი ურთიერთშებრუნებული მეთოდებია, დინამიკური და სტრუქტურული ანალიზი კი, ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დროს, ურთიერთშემავსებლებია.

ანალიზი (analysis) ბერძნული სიტყვაა და დაშლას, დანაწევრებას ნიშნავს. (ჭიალაძე 2018:21) იგი გულისხმობს ერთი მთლიანობის შემადგენელ ნაწილებად დაყოფას, მისი უკეთ შესწავლის მიზნით. ანალიზის საშუალებით შესაძლებელია კომპანიის ფინანსური რესურსებით გონივრულად უზრუნველყოფა და ამ რესურსების ეფექტურად განთავსება და გამოყენება.

სინთეზი (synthesis) ბერძნული სიტყვაა და შეერთებას, შერწყმას ნიშნავს. იგი გულისხმობს ანალიზით მიღებული მონაცემების განზოგადებასა და მათ ერთ მთლიანობაში მოყვანას. უფრო კონკრეტულად, სინთეზი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ხარისხობრივი მახასიათებელია და ზოგად მაჩვენებლებს აღწერს. იგი ახასიათებს მთლიანად საწარმოო მასშტაბით კომპანიის საქმიანობის შედეგს.

დინამიკური ანალიზის დროს, შესაძლებელია ფინანსური ანგარიშგების თითოეული მაჩვენებლის შედარება წინ პერიოდთან. მისი საშუალებით, მენეჯმენტს შეუძლია საწარმოს მრავალწლოვანი ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, რათა გაარკვიოს რა იწვევს კონკრეტულ ცვლილებებს. ანალიზისთვის შეიძლება საბაზისო მაჩვენებლების გამოყენება კერძოდ, რომელიმე გასული პერიოდის მონაცემები, რომლებიც შესაძლოა პროცენტული სახით იყოს წამოდგენილი. ამ დროს ყოველი შემდეგი წელი საბაზისო წელს შეუდარდება და დგინდება გადახრები. დინამიკური ანალიზს სხვაგვარად **ჰორიზონტალურ ანალიზსაც** უწოდებენ.

სტრუქტურული ანალიზი აჩვენებს ფინანსური მაჩვენებლების სტრუქტურულ შემადგენლობას პროცენტულად. ამ დროს ფინანსური ანგარიშგების ყოველი მუხლი და/ან მუხლების ჯგუფი პროცენტულად არის წარმოდგენილი ანგარიშგების მთავარი (საბაზისო) მაჩვენებლის მიმართ. დინამიკური ანალიზისგან განსხვავებით ამ დროს გაანალიზდება კონკრეტული ერთი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგება. ამის გამო ის სტატიკური და არადინამიურია. სტრუქტურული ანალიზის ძირითად მიზანს წარმოადგენს, გამოიკვილოს ფინანსური ანგარიშგების მუხლების ხვედრითი წილის ცვლილებები. როგორც წესი, ბაზად საბალანსო უწყისში აიღება მთლიანი აქტივები, ხოლო მოგება-ზარალის ანგარიშგებაში - შემოსავალი რეალიზაციიდან. სტრუქტურულ ანალიზს სხვაგვარად **ვერტიკალურ ანალიზსაც** უწოდებენ.

შედარებითი ანალიზის დროს კონკრეტული მაჩვენებლები შედარება ხდება შიდა საწარმოო და საწარმოთაშორისო დონეზე. შიდა საწარმოო დონეზე განიხილება საწარმოებისა და მათი შვილობილი საწარმოების, ქვედანაყოფებისა და ცალკეული მაჩვენებლების შედარება. საწარმოთაშორისო დონეზე ერთმანეთს ედარება კონკრეტული საწარმოს მაჩვენებელი კონკურენტ საწარმოსას ან მოცემული დარგის საშუალო ინდუსტრიულ მაჩვენებლს. ორივე შედარება ხორციელდება ტენდენციების ანალიზის დახმარებით, განსაზღვრული დროის განმავლობაში ფინანსური მაჩვენებლების ცვლილებების ასახვით.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ძირითად ინდიკატორებს **ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის** შეფასების მაჩვენებლები წარმოადგენს. **ლიკვიდურობა** არის საწარმოს უნარი დროულად და სრულად დაფაროს ვალდებულებები. დაბალი ლიკვიდურობის გამომწვევი მიზეზი საბრუნავი სახსრების სტრუქტურაში ვლინდება. რაც უფრო ადვილი ხდება საბრუნავი საშუალებების რეალიზება და ფულად სახსრებად გადაქცევა, მით უფრო ლიკვიდური და გადახდისუნარიანი იქნება კომპანია. ამასთან ცხადია, ლიკვიდურობა შეფარდებითი ცნებაა. ყოველთვის შესაძლებელია აქტივის გაყიდვა, მაგრამ რამდენად მარტივად შეუძლია ეს საწარმოს, სხვა საკითხია. ლიკვიდურობის ხარისხის განსაზღვრა შესაძლებელია იმ დროის ხანგრძლივობით, რა დროშიც შესაძლებელია აქტივის ფულად სახსრებად გადაქცევა. მაგალითად, უძრავ ქონებას საწარმოსთვის მაღალი ფულადი სახსრების მოტანა შეუძლია, მაგრამ მისი გაყიდვა მარტივი საქმე არ არის. იგი დაბალი ლიკვიდური აქტივია.

ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის ცნებების მსგავსების მიუხედავად, მათი ერთმანეთთან გაიგივება დაუშვებელია. მაგალითად, კომპანია შესაძლებელია ბაზარზე ოპერირებდეს საკმაოდ მაღალლიკვიდური ორგანიზაციის სახელით, რასაც ხელს უწყობდეს ანალიტიკოსების მიერ გამოთვლილი ფინანსური მაჩვენებლები, მაგრამ მის საბრუნავ აქტივებში სჭარბობდეს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები, რომელთა რეალიზება შესაძლოა ფინანსურ დანაკარგებსაც კი იწვევდეს. მამასადამე, როდესაც ლიკვიდურობა ნაკლებად დინამიურ ხასიათს ატარებს, **გადახდისუნარიანობა** საკმაოდ ცვალებადია. შესაძლებელია საწარმო სარგებლობდეს მაღალლიკვიდური ორგანიზაციის სახელით, შეძლოს კონკრეტული კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, მაგრამ ვეღარ შეძლოს მორიგი კრედიტორის ვალდებულების დაფარვა ვადაგადაცილებული და დაუფარავი დებიტორული დავალიანებების გამო.

ამრიგად, ლიკვიდურობა ნიშნავს გააჩნია, თუ არა კომპანია საკმარისი მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებების დასაფარვად, ხოლო გადახდისუნარიანობა აჩვენებს, ახერხებს თუ არა იგი, მიმდინარე ვალდებულებების მიმდინარე აქტივებით დაფარვას. ზოგადად, ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა ხშირად ერთიდაიგივე მნიშვნელობით გამოიყენება და გარკვეული აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლებით იზომება.

ლიკვიდურობის ანალიზის ჩატარებისთვის, სასურველია მიმდინარე აქტივები ლიკვიდურობის შემცირების მიხედვით დაჯგუფდეს. ჯერ მაღალლიკვიდური აქტივები; შემდეგ სწრაფად რეალიზებადი აქტივები; მესამე ადგილზე ნელა რეალიზებადი აქტივები და ბოლოს ძნელად რეალიზებადი აქტივებია. (იხ. ცხრილი 1)

მაღალლიკვიდური აქტივები	ფულადი სახსრები, მისი ექვივალენტები და ფასიანი ქაღალდები
სწრაფად რეალიზებადი აქტივები	მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები, გაცემული ავანსები და სხვა.
ნელა რეალიზებადი აქტივები	მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება, გადახდილი დღგ, გრძელვადიანი დებიტორული ვალდებულებები და სხვა.
ძნელად რეალიზებადი აქტივები	დაუმთავრებელი მშენებლობა, ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და სხვა.

ცხრილი 1

ვალდებულებები, დაფარვის ზრდის მიხედვით ჯგუფდება. ჯერ სასწრაფო ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა უკვე დამდგარია; შემდეგ მოკლევადიანი ვალდებულებებია; შემდეგ გრძელვადიანი ვალდებულებები და ბოლოს მუდმივი პასივები. (იხ. ცხრილი 2)

სასწრაფო ვალდებულებები	კრედიტორული ვალდებულებები, ბანკის მოკლევადიანი კრედიტები და ა.შ. რომელთა გადახდის ვადაც უკვე დამდგარია
------------------------	--

მოკლევადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები, მოკლევადიანი სესხები და ა.შ.
გრძელვადიანი ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები, ბანკის გრძელვადიანი სესხები და ა.შ.
მუდმივი პასივები	საკუთარი კაპიტალი

ცხრილი 2

ლიკვიდურობის ანალიზმა ცხადყო, რომ შპს „ენგურჰესი“ საკმაოდ მაღალ ლიკვიდურია. მას არამარტო შეუძლია ყველა მიმდინარე ვალდებულების მიმდინარე აქტივებით დაფარვა, არამედ რჩება კიდევ საკმარისი რესურსი საწარმოს კვლავ ფუნქციონირებისთვის. შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ ლიკვიდურობის მაჩვენებლები, პირიქით საკმაოდ დაბალი მნიშვნელობებით გამოირჩევა, რასაც ძირითადად გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის მაღალი მნიშვნელობა იწვევს, თუმცა ისინი კვლავ ნორმის ფარგლებშია.


საკუთარი საბრუნავი სახსრები ორივე საანალიზო კომპანიაში დროთა განმავლობაში განმავლობაში კლებულობს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მიმდინარე აქტივების საკუთარი კაპიტალით დაფინანსების მცირდება და სულ უფრო მეტად ხდება მათი ვალდებულებებით უზრუნველყოფა. ეს ორივე კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის არასასურველი მოვლენაა.

საწარმოს ფინანსური მდგრადობა ანუ სტაბილურობა გულისხმობს ფინანსური რესურსების ისეთი სახით ფორმირებას, რომ უზრუნველყოს საწარმოს მოგებისა და კაპიტალის ზრდა გადახდისუნარიანობისა და კრედიტუნარიანობის შენარჩუნების პირობით. ფინანსური მდგრადობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად და მიზანმიმართულად არის დაბანდებული ფინანსური რესურსები საწარმოს აქტივებში.

ფინანსური მდგრადობის ანალიზის არკვევს, რამდენად ეფექტურად იყენებს ხელმძღვანელობა საწარმოს საკუთარ და მოზიდულ სახსრებს. მისი საშუალებით კომპანიაში არსებული ფინანსური პრობლემები და რისკები დროულად გამოვლინდება და ორგანიზაციის კრედიტორებზე შესაძლო დამოკიდებულებისა და გაკოტრების შესახებ სიგნალს იძლევა. მაღალი ფინანსური მდგრადობა გულისხმობს, რომ საწარმოს აქტივების დასაფინანსებლად მეტწილად გამოყენებული აქვს საკუთარი ფინანსური სახსრები. სხვაგვარად, საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილი ვალდებულებების წილს უნდა აღემატებოდეს, რაც ფინანსური მდგრადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საწარმო ხდება კრედიტორებზე დამოკიდებული და აქვს გაკოტრების მაღალი ალბათობის დონე.


საანალიზო კომპანიებიდან არცერთს გააჩნია ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლების სასურველი მნიშვნელობა, გარდა შპს „ენგურჰესის“ 2018 წელს, როდესაც კაპიტალის სტრუქტურის მაჩვენებელმა 1 შეადგინა, (გამოითვლება საკუთარი კაპიტალს ვალდებულებებთან შეფარდებით) რაც წინა წელთან შედარებით 0.1 პუნქტით მაღალი იყო. ამ მაჩვენებლის მაღალი მნიშვნელობა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში წინასთან შედარებით საკუთარი კაპიტალის 15 626 000 ლარით ზრდამ და ვალდებულებების 2 977 000

ლარით შემცირებამ გამოიწვია. შემდეგ პერიოდში კი მისი მნიშვნელობა კვლავ გაუარესდა, რაც წინა წელთან შედარებით ვალდებულებების მაღალმა მატებამ გამოიწვია. (იხ. ნახაზი 1)



ნახაზი 1

საქმიანი აქტივობის ხარისხი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია საწარმოში ავანსირებული ღირებულების წრებრუნვის მოდელთან. ეს გულისხმობს, რომ რესურსებში ავანსირებული ფული ქმნის მატერიალურ სიმდიდრეს, რომელიც შემდეგ კვლავ ფულად იქცევა. უფრო კონკრეტულად მარტივი წრებრუნვის მოდელის თანახმად, საწარმო თავისი ფულადი სახსრებით ყიდულობს ნედლეულსა და მასალებს, რომლებსაც შემდგომ პროდუქციის საწარმოებლად იყენებს. მიღებული პროდუქციის გაყიდვით ის კვლავ იღებს ფულად სახსრებს საწარმოო ციკლის კვლავწარმოებისთვის. (იხ. სქემა 1)



სქემა 1

კომპანიებში ფულად სახსრებს მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებში აბანდებენ. შესაბამისად, მოკლევადიან აქტივებში დაბანდებულ ფულს აქვს უნარი წელიწადში რამდენჯერმე კვლავ გადაიქცეს ფულად სახსრებად. გრძელვადიან აქტივებს კი შედარებით დიდი ბრუნვის ხანგრძლივობა გააჩნიათ. მათი ღირებულების წრებრუნვა ზოგჯერ წლობით გრძელდება.

შპს „ენგურჰესს,“ ისევე როგორც შპს „გარდაბნის თბოსადგურს,“ შეინიშნებათ საქმიანი აქტივობის ხარისხის გაუარესების ტემპები. ეს იმას ნიშნავს, რომ საბრუნავი სახსრების

გამოთავისუფლებისა და მამასადამე ფულად სახსრებად გადაქცევის სისწრაფე მცირდება. შპს „ენგურჰესის“ შემთხვევაში 2017-2019 წლებში საქმიანი აქტივობის ხარისხის გაურესებას, შედარებით მცირედი, მაგრამ ზრდადი ტემპი აქვს. შპს „გარდაბნის თბოსადგურს“, 2019 წელს, საქმიანი აქტივობის ნახტომისებური ვარდნა აქვს, მაშინ როდესაც გასულ პერიოდში ამ მაჩვენებლების საკმაოდ კარგი მდგომარეობა ჰქონდა.

მომგებიანობისა და საინვესტიციო ეფექტიანობის ანალიზი აჩვენებს მასზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ხარისხს, რომელთა საშუალებით შესაძლოა დადგინდეს რამდენად ოპტიმალურად იყენებს კომპანია თავის რესურსებს, რაც მენეჯმენტს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება.

მომგებიანობა ანუ რენტაბელობა ეკონომიკური ეფექტიანობის ფარდობითი მაჩვენებელია. **საინვესტიციო ეფექტიანობის** ანალიზი კი აჩვენებს, როგორ უზრუნველყოფს კომპანია, როგორც საკუთარი ასევე მოზიდული საინვესტიციო სახრების ეფექტიან დაბანდებას. უფრო კონკრეტულად, აჩვენებს თუ რამდენი ლარის მოგებას ნახულობს კომპანია თითოეული ლარის აქტივზე, საკუთარ კაპიტალზე, მთლიანად კაპიტალზე და ა.შ.

შპს „ენგურჰესი“ 2017 წელს მომგებიანობისა და საინვესტიციო ეფექტიანობის კარგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა. ამავე წელს შეინიშნებოდა საწარმოო ფაქტორების უფრო ეფექტიანად გამოყენების დონე. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი უფრო მეტი პროცენტული წილით იყო გაზრდილი, ვიდრე გაყიდული საქონლის თვითღირებულება. უფრო კონკრეტულად, მაშინ როდესაც შემოსავალი 14 152 000 ლარით იყო გაზრდილი, თვითღირებულების ზრდა მხოლოდ 4 072 000 ლარი იყო. მაჩვენებლები შემდეგ წელს კიდევ უფრო გაიზარდა. 2019 წელს მისი მდგომარეობა საკმაოდ გაუარესდა. ასეთ მკვეთრ ვარდნაზე გავლენა იქონია რეალიზებული საქონლის თვითღირებულებამ. ეს უკანასკნელი გაიზარდა. მოცემულ წელს შემცირებული იყო ასევე სხვა არასაოპერაციო შემოსავალი. მენეჯმენტის მიერ შემუშავებული იქნა გარკვეული ღონისძიებები, შეიკვეცა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები და სხვა საოპერაციო ხარჯები 1 608 000 ლარის ოდენობით, მაგრამ მიუხედავად ამ მცდელობებისა საწარმოში მაინც ზარალს ჰქონდა ადგილი.

შპს „გარდაბნის თბოსადგურს“ საანალიზო 3 წლიან პერიოდში მომგებიანობისა და საინვესტიციო ეფექტიანობის კარგი მაჩვენებლები აქვს. საწარმო საკმაოდ ეფექტურად იყენებს საწარმოო ფაქტორებს, რაც რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას იწვევს. თუმცა დროთა განმავლობაში შეინიშნება ამ მაჩვენებლების გაუარესების ტემპი, თუმცა ერთის მხრივ ისინი კვლავ ნორმის ფარგლებში რჩებიან.

კვლევის შედეგები

- გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის მაჩვენებლის ანალიზმა აჩვენა, რომ შპს „ენგურჰესისა“ და შპს „გარდაბნის თბოსადგურს“ ამ მხრივ კარგი მდგომარეობა აქვთ;
- შპს „ენგურჰესის“ ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები 2017 – 2018 წლიან პერიოდში იზრდება. შემდეგ კი კვლავ მცირდება შპს „გარდაბნის თბოსადგურს“ 2017 – 2019 წლებში ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტების არასასურველი მნიშვნელობები აქვს, თუმცა შეინიშნება სტაბილური ზრდის ტემპი.
- საანალიზო კომპანიებიდან არცერთს გააჩნია ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლების სასურველი მნიშვნელობა, გარდა შპს „ენგურჰესისა“, 2018 წელს, როდესაც კაპიტალის სტრუქტურის მაჩვენებელმა 1 შეადგინა;

- საქმიანი აქტივობის თვალსაზრისით, ორივე კომპანიას საანალიზო პერიოდში, მაჩვენებლების გაუარესების ტემპები შეენიშნებათ;
- მომგებიანობის მაჩვენებლების ანალიზმა ცხადყო, რომ შპს „ენგურჰესის“ ფინანსურ მდგომარეობას, ამ მაჩვენებლების მიხედვით, საფრთხე ემუქრება. მათი მნიშვნელობა არასტაბილური და ძალიან დაბალია. შპს „გარდაბნის თბოსადგურს“ ამ მხრივ ჯერ - ჯერობით სირთულეები არ აქვს. მართალია, მაჩვენებლების მნიშვნელობები მცირდება, მაგრამ ისინი კვლავ ნორმის ფარგლებში რჩებიან.

დასკვნები და რეკომენდაციები

- ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშავოს გზები მიმდინარე აქტივების ზრდისთვისა და მიმდინარე ვალდებულებების შემცირებისთვის. ამის ერთ - ერთი გზა კრედიტორული დავალიანებების შემცირებაა;
- შპს „ენგურჰესის“ მენეჯმენტმა საჭიროა აქტივების სესხით დაკრედიტების მოქნილი პოლიტიკა შეიმუშავოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა საწარმოს ფინანსურ დამოუკიდებლობას საფრთხე დაემუქროს და საპროცენტო ხარჯებიც გაიზარდოს;
- შპს „ენგურჰესმა“ საქმიანი აქტივობის გასაზრდელად საჭიროა დააჩქაროს დებიტორული დავალიანების ამოღებისა და კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი;
- ორივე საწარმომ, სასურველია მომგებიანობის ასამაღლებლად, შეამციროს ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, რომელიც მოცემულ წლებში მათ საკმაოდ მაღალი რაოდენობებით აქვთ.

ბიბლიოგრაფია

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 23, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, 2009.

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 9, ფინანსური ინსტრუმენტები, 2014.

მაღლაკელიძე, დ, ყიფიანი, მ, ვაშაკიძე, ნ, (2011). საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების მაჩვენებლების ანალიზი. *ეკონომიკური პროფილი*, ტომი 6, N1(9), ქუთაისი, გვ. 25-30

ჩეჩელაშვილი, ა. (2013). ფინანსური მდგომარეობის და მდგრადობის გაუმჯობესების გზები ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში

ჭილაძე, ი. (2019). საწარმოთა ლევერეჯის ანალიზის მეთოდის სრულყოფის საკითხები, თბილისი

ჭილაძე, ი. (2018). ფინანსური ანალიზი, თბილისი

NEXIA TA, შპს „ენგურჰესი“ ფინანსური ანგარიშგება, 2018.

NEXIA TA, შპს „ენგურჰესი“ ფინანსური ანგარიშგება, 2019.

NEXIA TA, შპს „ენგურჰესი“ ფინანსური ანგარიშგება, 2020.

PKF Georgia, შპს „გარდაბნის თბოსადგური“ ფინანსური ანგარიშგება, 2018.

PKF Georgia, შპს „გარდაბნის თბოსადგური“ ფინანსური ანგარიშგება, 2019.

PKF Georgia, შპს „გარდაბნის თბოსადგური“ ფინანსური ანგარიშგება, 2020.

შპს „ენგუჰესის“ <https://www.engurhesi.ge/ka> მასალაზე წვდომა 25.09.2021.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, პროექტი გარდაბნის თბოსადგური, <https://www.gogc.ge/ka/project/gardabnis-tbosadguri/34> მასალაზე წვდომა 25.09.2021.